ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდანაჲ

დასდებელნი წმიდისა ალდგომისანი

კურდანად
დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი

კაცთათჳს ზეცით ქუეყანად გარდამოჰჴედ კაცთ- მოყუარე, მოქცევად შეცთომილთა და შეკრებად განბნეულთა, განკურნებად უძლურთა, ძიებად ადამისა და ცხოვრებად ყოვლისა სოფლისა!

ორითა ბუნებითა, სრულითა ღმრთეებითა და კაცებითა, გამოჰბრწყინდი ქალწულისაგან უფალი უფლებათაჲ, მფლობელი ცხოვრებისა და სიკუდილისაჲ, რაჲთა აცხოვნო კაცი რომელი შეჰქმენ ხატად შენდა!რომელმან ცასა აღჴრ-ასხნა და სიკუდილი მოაკუდინა, რომელმან ბეჭდის საყოფელი იგი საშჯელისა ჩუენისაჲ ჯუარსა შემშჭუალა, რომელმან ძუელი შჯული ცვალა და პირველსა მას სამკჴდრებელსა ღირს მყვნა!

დაფლჴითა შენითა, ქრისტე, აღდგეს მკუდარნი საფლავთაგან, დაბეჭდვითა შენითა ყოველნი გუამნი წმიდათანი გამოვიდეს სამარისაგან დიდებად შენდა, მჴსნელო, რაჲთა წამონ ძლიერებაჲ შენი!აუწყა ანგელოზმან დედათა აღდგომაჲ შენი, ქრისტე, წარავლინნა ხარებად და მითხრობად მოციქულთა აღდგომასა შენსა, მჴსნელო, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ გიხილონ უფალი და მოძღუარი!
ნათელი უკუდავებისაჲ მიეფინა ბნელსა მყოფთა, განათლებულთა ჴმა-ყვეს, მოიწია მჴსნელი ჩუენი, რომელი ა[ღ]სდეგ მკუდრეთით ღმრთეებისა ძალითა, ცხოვრების მომცემელო, დიდებაჲ შენდა!

აღსლვასა შენსა მამისა ამცნებდი რაჲ მოციქულთა, აღვალ მე მამისა, ყოველთა შემოქმედისა, დაადგერით სიონს შინა, ვითარმედ შეიმოსოთ მაღლით გამო ძალი საღმრთოჲ საკჴრველად!იხარებს შენ მიერ უბიწოო, კრებული წინაჲსწარმეტყუელთაჲ და მოციქულთა გუნდნი, რამეთუ შემოქმედი მათი შენგან იშვა მეუფჱ მეუფეთაჲ, მას ევედრე, წმიდაო, ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენთასა!